კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.diaspora.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 01 ნოემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
www.diaspora.gov..ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
50,00%
80,36%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
30,77%
38,25%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
19,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
26,92%
42,07%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
19,05%
26,75%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
20,00%
36,83%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
50,00%
100,00%

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული აპარატის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სახელმწიფო მინისტრის კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, მისი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

  სახელმწიფო მინისტრის ბიოგრაფიის და შეხვედრების შესახებ ინფორმაციის მომცველ გადასასვლელ ბმულზე წვდომა გართულებულია, ვინაიდან ხსენებული ბმული მოიძიება მხოლოდ მთავარ გვერდზე გადასვლით:

  ამასთან, განყოფილებაში „აპარატი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სახელმწიფო მინისტრი“ მოიძიება მხოლოდ მინისტრის მოძველებული მიმართვა.

  სასურველია მოცემულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ყველა ზემოთხსენებული ნაკლული ან მოსაძიებლად რთული განახლებული ინფორმაცია:

აპარატი | ახალი ამგები | ღონისძიებები | ქართული დიასპორები | საქართველოს შესახებ | პრესსამსახური

- სახელმწიფო მინისტრი
- აპარატის დებულება
- აპარატის სტრუქტურა

...სტრი » მიმართვა

...ო'' – მინისტრის მადლობა ქართულ დიასპორას

ჩემო ძვირფასო თანამემამულეებო,

ორი წელი გავიდა აგვისტოს ტრაგედიიდან. ომიდან, რომელმაც გააოგნა მთელი მსოფლიო, როდესაც რუსეთმა მთელი ცივილიზებული სამყაროს დასანახად თავხედურად უგულებელყო საერთაშორისო სამართალი, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებები და ფეხქვეშ გათელა მეზობელი ქვეყნის სუვერენიტეტი.

გუშინ და გუშინწინ საქართველო იხსენებდა და პატივს მიაგებდა თავის გმირებს, ვინც სამშობლოს ერთიანობისთვის და თითოეული ჩვენგანისთვის თავი განირეს. ეს ომი არ იყო ჩვენი არჩევანი; ჩვენი ჯარისკაცები ამ ომში საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად წავიდნენ. ბევრი მათგანი ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა, მაგრამ ქართველი ერი გადარჩა, მასთან ერთად გადარჩა ის, რაც ამტკიცებს და ამღიერებს ერს- რწმენა თავისუფლებისა და ქვეყნის ერთიანობისა.

პროგრესულად მოაზროვნე საერთაშორისო საზოგადოებრიობა სულ უფრო მეტად აცნობიერებს, რომ რუსეთთან ჭიდილში საქართველოს დამარცხება სწორედ ცივილიზებული სამყაროს მარცხი იქნება. დემოკრატიული სახელმწიფოების ლიდერები აღარ ერიდებიან და ღიად ამბობენ, რომ ეს იყო სუვერენული სახელმწიფოს ოკუპაცია და ეს ტერმინი დამკვიდრეს კიდეც.

საქართველოს კარგად ახსოვს თქვენი თავდაუზოგავი და აქტიური მოქმედება
რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. თქვენმა ერთსულოვნებამ და ურყევმა პოზიციამ მნიშვნელოვნად განაპირობა რუსული აგრესიის შეჩერება.

არ შეიძლება ვინმეს ეფოციის გარეშე ეცქირა თქვენს მსაპინძელ ქვეყნებში რუსეთის საელჩოების წინ და ქალაქების ცენტრალურ მოედნებზე თქვენი აქციებისათვის. თქვენ, ქართულმა დიასპორამ, კიდევ ერთხელ შეახსენეთ მსოფლიოს და საერთაშორისო თანამეგობრობას აგვისტოს ომის ტრაგედია, ის ფაქტი, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიების ნაწილი ინტერვენციიდან 2 წლის შემდეგ კვლავ ოკუპირებული აქვს. მოუწოდეთ საერთაშორისო საზოგადოებას კვლავ აიმაღლონ ხმა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ, ის, რომ თქვენთან ერთად ამ აქციებში ადგილობრივმა მოსახლეობამაც მიიღო მონაწილეობა და რომ საქართველოს მსოფლიოში უფრო მეტი მეგობარი და მხარდამჭერი გაუჩნდა, თქვენი დამსახურებაა.

საქართველო იმვიათად ყოფილა ისე ერთიანი, როგორც დღეს, წელსაც, ჩვენმა ერთად დგომამ დაგვანახა, რომ ჩვენ ყველანი მზად ვართ, დავდგეთ ჩვენი ქვეყნის დასაცავად. მადლობას გიხდით თავდადებისთვის და ქვეყნის ერთგულებისთვის. ის ჯაჭვი, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ შეკარით ჩვენი ერთიანობის სიმბოლოა. მწამს, რომ ეს ჯაჭვი არასოდეს გაწყდება. საქართველო გააგრძელებს განვითარებას თქვენთან ერთად და მტრის ბარბაროსულ ქმედებებს აღმშენებლობით და განვითარებით უპასუხებს. ამის დასტურია აყვავებული ანკლიის სანაპირო, ამის დასტურია განმუხტურში თავისუფლების ბულვარის გახსნა, ის ადგილი, საიდანაც საქართველოს ისტორიულად განუყოფელი ნაწილი, ჩვენი ტკივილი - აფხაზეთი ასე ახლოს მოსჩანს.

ქართული დიასპორის არსებობის მანძილზე ახალი ეპოქა დაიწყო, ეპოქა, როდესაც ქართული დიასპორა თავს ქვეყნის განუყოფელ ნაწილად თვლის და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მთელ მსოფლიოს გააგებინოს სიმართლე, აჩვენოს ქართველი ერის გაუტეხელი სული და თავისუფალი სამშობლოს ხილვის სურვილი.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი პატრიოტიზმისთვის და თავდადებისთვის და გარწმუნებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება, თქვენთან ერთად, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ქართველი გმირების მიერ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

მირზა (პაპუნა) დავითაია

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
დიასპორის საკითხებში

- არ მოიძიება განცალკევებული ქვე-განყოფილება „პირველი მოადგილე“, სადაც განთავსდებოდა სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მისი კომპეტენციის აღწერა და სრული საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

ამასთან, ქვე-განყოფილებაში სათაურად „აპარატის სტრუქტურა“ მოყვანილია ინფორმაცია სახელმწიფო მინისტრის მეორე მოადგილის (პირველი მოადგილის გარდა) შესახებ, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან აპარატის საშტატო ნუსხით სახელმწიფო მინისტრისათვის მეორე მოადგილის პოზიციის არსებობა გათვალისწინებული არ არის:



მთავარი » აპარატი » აპარატის სტრუქტურა

აპარატის სტრუქტურა

სახელმწიფო მინისტრი - მირზა (პაპუნა) დავითაია

სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე - ირაკლი ნადირაძე
(+995 32) 93 17 04 nadiradze@diaspora.gov.ge

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე - ნიკოლოზ ავალიანი
(+995 32) 36 89 65 n.avaliani@diaspora.gov.ge

ადმინისტრაციული დეპარტამენტი - დეპარტამენტის უფროსი მარიამ მამესწარაშვილი
mariami@diaspora.gov.ge

პროგრამების დეპარტამენტი - დეპარტამენტის უფროსი მედეა მირიანაშვილი
(+995 32) 36 89 65 medea@diaspora.gov.ge

ანალიტიკის დეპარტამენტი - დეპარტამენტის უფროსი თემურ ტარტარაშვილი

(+995 32) 36 98 71 temur.tartarashvili@diaspora.gov.ge

პრესმდივანი - შორენა კირვალიძე
skirvalidze@diaspora.gov.ge

სახელმწიფო მინისტრის აღმასრულებელი თანაშემწე - ლელა შველიძე
(+995 32) 18 13 70 lelashvelidze@diaspora.gov.ge

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და აპარატის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა:



აპარატი | ახალი ამბები | ღონისძიებები | ქართული დიასპორები | საქართველოს შესახებ | პრესსამსახური

- პრესრელიზი
- კონტაქტები

მთავარი » კონტაქტი

ინგოროყვას 7
თბილისი, 0134
ტელ.: + 995 32 18 13 70
ფაქსი: +995 32 93 17 05
ელ-ფოსტა: info@diaspora.gov.ge

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
შორენა კირვალიძე: skirvalidze@diaspora.gov.ge
ტელ.: + 995 32 181370

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აპარატის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (აპარატის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფისა და საშტატო ნუსხით დადგენილ თანამდებობების პირების, საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები) აგრეთვე, არ მოიძიება აპარატის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული აპარატის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მოქმედი დებულებით განსაზღვრული აპარატის ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების აღწერა. აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აპარატის სტრუქტურის შემადგენლობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება აპარატის სტრუქტურის სქემატური (სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;

- არ მოიძიება აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა, ფაქსის ნომრები და აგრეთვე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:



- არ მოიძიება საშტატო ნუსხის შესაბამისად დადგენილ უკლებლივ ყველა თანამდებობის პირთა (სულ 20) შესახებ ინფორმაცია (სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები).

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან არსებულ საზოგადოებრივი საბჭოს შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „საზოგადოებრივი საბჭო“;
- საზოგადოებრივი საბჭოს ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები (CV);
- საზოგადოებრივი საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა;
- საზოგადოებრივი საბჭოს სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები).

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს სამართლებრივი აქტების ბაზა, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, გეგმები და პროგნოზები, სტატისტიკური მონაცემები, აპარატის საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური ანგარიშები (განყოფილებაში „ახალი ამბები“ განთავსებული 2010 წლის ანგარიშის ბმული არ იხსნება), პროგრამებისა და პროექტების არქივი, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.* :



ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „საქართველოს შესახებ“ მართალია მოცემულია მოქმედი ქვე-განყოფილებები, თუმცა უშუალოდ განყოფილების ბმულის გახსნისას ჩნდება ინფორმაცია, რომ “ მიმდინარეობს რეკონსტრუქცია“:



მოქმედი დებულების თანახმად აპარატის დასახული ამოცანების განსახორციელებლად აპარატი ახორციელებს საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვა და სხვა დროსა და პირობებში მოხვედრილი ისტორიულ-კულტურული ფასეულობების მქონე ობიექტების მოძიებას, აღნუსხვასა და კატალოგების გამოცემას, შესაძლებლობების ფარგლებში, სასურველია აღნიშნული კატალოგები ელექტრონული ფორმით განთავსდეს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე.

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. აპარატის ვებ-გვერდის განყოფილებაში - „ახალი ამბები“ მოყვანილი უკანასკნელი ცნობა თარიღდება 2011 წლის სექტემბრის თვით, ხოლო 2011 წლის განმავლობაში აპარატის საქმიანობის შესახებ ჯამში მხოლოდ ოთხი ინფორმაციული ხასიათის ცნობაა წარმოდგენილი, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს შეიქმნას აპარატის საქმიანობის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენა.

გარდა ამისა, ვებ-გვერდზე საერთოდ არ მოიძიება დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები; ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ და ამა თუ იმ ღონისძიებებში მისი მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:



11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს შესაქმნელ (ქვე-) განყოფილებაში „წლიური ანგარიში“. ამასთან, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, განყოფილებაში „ახალი ამბები“ განთავსებული 2010 წლის ანგარიშის ბმული არ იხსნება.

12. ვებ-გვერდზე არ მოიძიება დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები. სასურველია ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „გეგმები“, სადაც განთავსდებოდა შესაბამისი ინფორმაცია.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ აპარატის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

14. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ხსენებულ შესაქმნელ განყოფილებაში აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს აპარატი. *(პროექტ **,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.)*

ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აპარატი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/diaspora_proeqtebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აპარატი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/proeqtebi_diaspora.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე სამინისტროს კომპეტენციის სფეროში განხორციელებული პროექტების და პროგრამების ჩამონათვალი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/proektebi0001.pdf).

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

16. ვებ-გვერდზე მოცემულია მხოლოდ ორი სამართლებრივი აქტი: აპარატის დებულება და საქართველოს კონსტიტუცია, ამასთან ორივე აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით:





აპარატი | ახალი ამბები | ღონისძიებები | ქართული დიასპორები | საქართველოს შესახებ | პრესსამსახურ

- კონსტიტუცია
- სიმბოლიკა
- ფაქტები
- დღესასწაულები

მთავარი » საქართველოს შესახებ » კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია

ცვლილებები და დამატებები

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.

თავი პირველი ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით, რომელიც ჩატარდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა "საქართველო".

მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აგრეთვე სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

4. საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით.

სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება „სამართლებრივი აქტები“, სადაც განთავსდებოდა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, სახელმწიფო მინისტრის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული ბრძანებები და სამართლებრივი აქტების პროექტები.

სასურველია შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კანონი ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში მიღების წესისა და ვადების აღწერა.

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და აპარატში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, დიასპორის საკითხებში მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციას, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/diaspora_sajaro.info.pdf

აგრეთვე, ინსტიტუტმა პარლამენტიდან გამოითხოვა აპარატის მიერ 2010 წლის 10 დეკემბერს წარდგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის წლიური ანგარიშები, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/diaspora0001.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები", სადაც განთავსდებოდა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების

პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, აპარატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", დიასპორის საკითხებში მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი)განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების , პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/diaspora_shesyidvebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა, 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრული ჩამონათვალი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/sheskidvebi0002.pdf).

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, აპარატსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული განყოფილება „ვაკანსიები", სადაც მოყვანილი იქნებოდა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (აპარატის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება აპარატისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ და აპარატის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტლის ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე:*
  http://www.opendata.ge/pdf_files/diaspora_biujeti.pdf

  აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე:
  http://www.opendata.ge/pdf_files/4_biujeti_diaspora.pdf

  აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2009-2010 წლების ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია კვარტალების ან/და თვეების მიხედვით (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 47.1 მუხლის თანახმად), ასევე ბიუჯეტებში შეტანილი ცვლილებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე:
  http://www.opendata.ge/pdf_files/biujeti10001.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

  არ მოიძიება აპარატის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების და დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  http://www.opendata.ge/pdf_files/diaspora_xelfasebi.premiebi.pdf

  აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
  http://www.opendata.ge/pdf_files/xelfasebi_da_premiebi_diaspora.pdf

  აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა სამინისტროს თანამშრომელთა სია თანამდებობების მიხედვით და თითოეულის თანამდებობრივ სარგოზე (ცალ-ცალკე) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
  http://www.opendata.ge/pdf_files/__sargoebi__avtomobilebi_mivlinebebi_kavshirgabmuloba20090001.pdf*);*

- არ მოიძიება აპარატის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი

ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აპარატი;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ აპარატისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

  არ მოიძიება პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან აპარატისათვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ**„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", დიასპორის საკითხებში მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) საჯარო დაწესებულებსიათვის საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ოდენობების შესახებ ინფორმაცია და ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  http://www.opendata.ge/pdf_files/diaspora_sarezervo.pdf

  აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
  http://www.opendata.ge/pdf_files/sarezervo_fondebi_diaspora.pdf*).*

ზემოთხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს შესაქმნელ განცალკევებულ განყოფილებაში („ფინანსები", „ხარჯთაღრიცხვა", „ბიუჯეტი" *და მისთ.*).

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
56,25%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
78,95%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
85,71%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
0,00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- ## ნავიგაცია

ვებ-გვერდის რუკაში არის მცირე პროგრამული შეცდომა:



ამ შეცდომის გამო, შესაბამის კატეგორიაში შესვლა შეუძლებელია, რადგან ბმული სახეშეცვლილია და აღარ შეიცავს საჭირო ინფორმაციას;

ვებ-გვერდს არ აქვს მენიუში პუნქტები: „მთავარი გვერდი“ და „კონტაქტი“ რაც ართულებს ვებ-გვერდზე ნავიგაციას:

- ## მარტივად აღქმის კრიტერიუმები

რუკაში შესვლისას, ვებ-გვერდზე აღნიშნულია, რომ ვიმყოფებით მთავარ გვერდზე, ხოლო მის დაბლით წერია, რომ ვიმყოფებით საიტის რუკაში, რაც არალოგიკურია და ერთ-ერთი აღნიშვნა უმჯობესია ამოვარდეს:



➢ საკონტაქტო ფორმები და წესები

ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმის გამოყენების შემდეგ, ისევ ჩნდება ანალოგიური ფორმა, სადაც არ არის აღნიშნული გაიგზავნა თუ არა ელექტრონული გზავნილი:



ელექტრონული ფოსტის გაგზავნის შემდეგ, აუცილებლად უნდა გამოჩნდეს შესაბამისი შეტყობინება იმის შესახებ წარმატებით მოხდა თუ არა ელ.გზავნილის გაგზავნა;

ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმას უნდა ჰქონდეს დამცავი კოდი, რათა ვებ-გვერდის ოფიციალური პირების ელექტრონული ფოსტის მისამართები იყოს დაცული არასასურველი ელექტრონული გზავნილებისგან:



- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდი ინტეგრირებულია სოციალურ ქსელებთან, თუმცა ინტეგრაცია განხორციელებულია მზა მოდულის გამოყენებით, რომლის მოხმარება მომხმარებელს უჭირს, რადგან სოციალური ქსელების არჩევანი ამ მოდულში საკმაოდ დიდი, გარდა ამისა, მოდულს გააჩნია დამატებითი ფუნქციები, როგორიც არის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნა, ბეჭდვა და სხვა. ამიტომ, უმრავლესობა მომხმარებელი დისკომფორტის გამო არ იყენებს ამ მოდულს:



სასურველია, არსებული მოდულის პარალელურად, ისეთი პოპულარული სოც. ქსელების ხატულები, როგორიცაა Facebook და Twitter გამოტანილი იყოს მთავარ სანავიგაციო პანელზეც;

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდის ერთ-ერთი ღილაკით შევდივართ შემდეგ საიტზე: “diaspora.ge”, რომელიც გაუქმებულია და მას დაკარგული აქვს თავისი ფუნქცია:

ვებ-გვერდზე ზოგიერთ კატეგორიაში გამოყენებულია საკმაოდ დიდი რეზოლუციის სურათები, რომლებიც ძალიან რთულად იტვირთება და მთლიანობაში ანელებს გვერდის ჩატვირთვას:

ეს სურათი დაპატარავებულია პროგრამული კოდის მეშვეობით (HTML/CSS);

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდში შეინიშნება თანამედროვე ტენდენციები, თუმცა შესაძლებელია მისი კიდევ უფრო დახვეწა და გაუმჯობესება. ასევე უნდა ითქვას, რომ ვებ -გვერდს აქვს მცირე ხარვეზები პროგრამულ კოდში და მოდულებში, მაგ. ისეთი დეტალი, როგორიც არის რეპორტინგის სისტემა და ა.შ.